# ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სპორტის წინსვლას

ხარ თუ არა საბჭოთა და ქართული სპორტის გულშემატკივარი?

მხოლოდ სიტყვით, თუ საქმითაც?

გსურს თუ არა ჩვენი რესპუბლიკა დამშვენდეს ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი და კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით, რომლებზეც მომავალი პაიჭაძეები და კარტოზიები, ქორქიები და წაქაძეები, დუმბაძეები და შავლაყაძეები აღიზრდებიან? ისინი ხომ ახალ დიდებას შემატებენ სამამულო სპორტს და ახალ-ახალი სიხარულით, სიამაყის გრძნობით აავსებენ თქვენს გულებს?

მაშინ, შეიძინეთ ფულადი და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის ბილეთები!

იცოდეთ, რომ ლატარიის შემოსავლის მეტად დიდი ნაწილი მოხმარდება საქართველოში ახალი სპორტული ბაზების მშენებლობას. იცოდეთ, რომ ამ სახსრებით შეიქმნება საერთაშორისო მასშტაბის დიდი სპორტული კერები, კერძოდ, ჩვენს ზღაპრულ ბაკურიანში და შავი ზღვისპირა ლესელიძეში.

და იცოდეთ, რომ ოცდაათკაპიკიანმა ბილეთმა შესაძლოა საზღვარგარეთ, დიდ საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებაზე დასასწრები ტურისტული საგზურით, ავტომანქანით, ან სხვა რამ ძვირფასი ნივთით გაგახაროთ!




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 168 (2531) ◉ ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ

# ჩვენი კონკურსი



ვინ გამოვა გამარჯვებული „ტოკიოს წინასწარმეტყველთა" შორის?

როგორც ცნობილია, ჩვენმა გაზეთმა ა. წ. 14 ივნისს გამოაცხადა წინასაოლიმპიადო კონკურსი სპორტის მცოდნეთათვის.

დღეს კვლავ ვაქვეყნებთ „ლელოს" კონკურსის შეკითხვებს:

1. დაასახელეთ ტოკიოს ოლიმპიადაზე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ სამ ადგილზე გამოსული ქვეყნები.
2. ვინ გაიმარჯვებს მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში და რა იქნება მისი შედეგი სამჭიდის ჯამში?
3. ვინ მოიპოვებს სსრ კავშირის მოკრივეთაგან ოლიმპიურ ოქროს მედლებს?
4. დაასახელეთ ფეხბურთში ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალისა და ფინალის მონაწილენი, გამარჯვებული გუნდი.
5. საქართველოს სპორტსმენთაგან ვინ მოიპოვებს ოლიმპიურ მედლებს?
6. ვინ გახდება ჩემპიონი 10.000 მეტრზე რბენაში?
7. რამდენ ოქროს მედალს მოიპოვებენ საბჭოთა მძლეოსნები?
8. დაასახელეთ ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში.
9. დაასახელეთ ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებიც გახდებიან პირველი ოლიმპიური ჩემპიონები ფრენბურთში.
10. როგორ განაწილდება პირველი ექვსი ადგილი წყალბურთელთა ტურნირში?
11. რომელი ქვეყნის გუნდი გაიმარჯვებს ტანვარჯიშში ვაჟთა შორის?
12. რა შედეგებს მოიპოვებენ ქართველი სპორტსმენები კლასიკურ ჭიდაობაში?
13. როგორ განაწილდება პირველი სამი ადგილი კალათბურთელთა ტურნირში?
14. ვინ მოიგებს სპრინტერულ რბოლას ველოტრეკზე?
15. როგორი შედეგი ექნება გამარჯვებულს სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის?

ყოველი სწორი და ამომწურავი პასუხისთვის დაიწერება 3 ქულა, ხოლო სწორი, მაგრამ არასრული პასუხისთვის — 1. კონკურსში გამარჯვებისათვის და პრიზების მოპოვებისათვის აუცილებელია ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის სულ ცოტა 50 პროცენტის დაგროვება.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

I პრიზი — კინოაპარატი.
II პრიზი — ფოტოაპარატი.
III პრიზი — საათი.

პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1 ოქტომბერი (ფოსტის ბეჭდის მიხედვით).

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი — 8. ლენინის ქუჩა № 14, გაზეთ „ლელოს" რედაქცია. კონვერტს წაწერილი უნდა ჰქონდეს: „ოლიმპიური კონკურსისათვის". წერილში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული გამომგზავნის გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია და მისამართი.

## შეჯიბრებათა ტრანსლაცია 21 ენაზე

● ოლიმპიადის დღეებში მსოფლიოს მილიონობით სპორტის გულშემატკივარი „აეწყობა" ტოკიოს ტალღაზე. იაპონიის სატელევიზიო და რადიოკომპანიები უკვე „მზად არიან" თამაშებისათვის. დამთავრდა ტოკიოს ახალი რადიოცენტრის მშენებლობა, რომელშიც მოთავსდება კინო-პავილიონები, ფოტოლაბორატორიები და სხვადასხვა სპეციალური აპარატურა. იაპონელები პირობას იძლევიან შეჯიბრებათა ტრანსლაცია განახორციელონ 21 ენაზე.

რადიორეპორტაჟები გადაიცემა 32 პუნქტიდან, მარათონულ რბენას მოემსახურება 19 ტელეკომენტატორი, რომლებიც მოთავსდებიან ავტომანქანებსა და ვერტმფრენებზე.

## ჩირაღდანმა სტამბოლში „შეისვენა"

● იაპონურმა თვითმფრინავმა, რომელმაც ოლიმპოდან თამაშების ცეცხლი წამოიღო, პირველად „შეისვენა" სტამბოლში. 26 საუკეთესო თურქმა სპორტსმენმა ოლიმპიური ცეცხლი აეროდრომიდან მიიტანა ქალაქის მუნიციპალიტეტში, სადაც ჩირაღდანმა ღამე „გაათია". დილით იგი აეროდრომზე მიიტანეს და 24 აგვისტოს საჰაერო ხომალდმა კურსი ბეირუთისაკენ აიღო.

## რეიდი რესტორნებსა და ბარებში

● პოლიციის რაზმმა რეიდი განახორციელა ტოკიოს რესტორნებსა და ბარებში. შიშობენ, რომ ამ დაწესებულებათა მფლობელები ოლიმპიადის სტუმრებს გადაახდევინებენ 3-ჯერ მეტს მომსახურებისათვის. პოლიციამ წინადადება მისცა რესტორნებისა და ბარების მეპატრონეებს, რომ მათ საჩვენებელ ადგილებზე გამოაკრან პრეისკურანტი. ის, ვინც ამ მითითებას არ შეასრულებს, დაჯარიმდება და ჩამოერთმევა ვაჭრობის ლიცენზია.

## 274 სპორტსმენით

● ბ უ დ ა პ ე შ ტ ი. უნგრეთი ოლიმპიადაზე გააგზავნის 274 კაცს. მონაწილეთა რიცხვი ტოკიოში ნაკლები იქნება, ვიდრე ჰელსინკსა და რომში იყო, მაგრამ სჭარბობს ლონდონსა და მელბურნს. დელეგაციის შემადგენლობაშია 29 მსაჯი, 16 ექიმი, 2 მასაჟისტი, 6 ოფიციალური პირი, 9 თარჯიმანი.

# იენში გაირკვევა ყველაფერი

ბერლინში დამთავრდა გდრ-სა და გფრ-ს მძლეოსანთა ოლიმპიადისწინა შესარჩევი ტურნირის პირველი ნაწილი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები პირველნი იყვნენ 9 სახეობაში (18-დან). გერმანიის ერთიან გუნდში უკვე შევიდა გდრ-ს 34 სპორტსმენი. დასავლეთ გერმანია ერთიან გუნდში წარმოდგენილია 25 კაცით.

წინ დასკვნითი შეხვედრაა, რომელიც იენში მოეწყობა. აქ გაირკვევა, თუ ვინ გამოვა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე.



ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა სპორტსმენების ოლიმპიური ფორმა (ყოველდღიური ტანსაცმელი).

ფოტო ვ. ზიმინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ხ. კაპაბლანკასადმი მიძღვნილი

ჰავანა, 25 აგვისტო. აქ საზეიმოდ გაიხსნა გენიალური კუბელი მოჭადრაკის ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობს 16 ქვეყნის 22 დიდოსტატი და ოსტატი. ჩამოსულ სტუმრებს და კუბელ მოჭადრაკეებს მიესალმა კუბის განათლების მინისტრი ა. ხ. დავალოსი. შეჯიბრება გაიხსნა ჭადრაკის უდიდესი ერთდროული თამაშის სეანსით 1470 დაფაზე, რომელიც ტურნირის მონაწილეებმა ჩაუტარეს ჰავანის ჭადრაკის მოყვარულებს.

გაიმართა ორიგინალური წილისყრა, რომლის დროს მოჭადრაკენი ყუთიდან იღებდნენ... ჰავანის სიგარას მასზე წარწერილი ციფრით.

აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი: 1. ლ. ევანსი (აშშ), 2. მ. ტაიმანოვი, 3. ვ. სმისლოვი (ორივე სსრკ), 4. კ. რობაჩი (ავსტრია), 5. ს. გარსია (კუბა), 6. მ. უდოვჩიჩი (იუგოსლავია), 7. ლ. პორტიში (უნგრეთი), 8. ე. ჰიმენესი (კუბა), 9. გ. შტალბერგი (შვეცია), 10. ვ. ულმანი (გდრ), 11. რ. ლეტელიე (ჩილი), 12. რ. ვეიდი (ინგლისი), 13. ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია), 14. ე. კობო (კუბა), 15. კ. ბელიცკი (არგენტინა), 16. კ. დარგა (გფრ), 17. ი. დონერი (ჰოლანდია), 18. გ. როსეტო (არგენტინა), 19. რ. ორტეგა, 20. ს. კრუზი (ორივე კუბა), 21. ა. ოკელი (ბელგია), 22. ნ. პადევსკი (ბულგარეთი).

26 აგვისტოს შედგება პირველი ტური, რომელშიც საბჭოთა დიდოსტატები ტაიმანოვი და სმისლოვი შესაბამისად ეთამაშებიან ოკელისა და კრუზს.

ტურნირი 25 სექტემბრამდე გასტანს.

# ფინიშის სწორზე

მინსკი. 25 აგვისტო (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის 1964 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. მე-11 ტურიდან გადადებული ეტრუკ — პეტერსონის პარტია ყაიმით დასრულდა. მე-12 ტურის პარტიაში მიკენასთან გურგენიძემ გამარჯვება იზეიმა. მე-14 ტურის ორი პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთ შედეგზე შეთანხმდნენ შაგალოვიჩი — ვალიევი და სუეტინი — ვოორემაა. მე-15 ტურის სამივე დაუმთავრებელ პარტიაში თეთრების უპირატესობა აშკარა იყო: ზილბერმა მოუგო სავონს, ეტრუკმა — სუეტინს, კრუტიხინმა — შაგალოვიჩს.

XV ტურის შემდეგ ოსტატობის კანდიდატ ვ. ბოიარინოვს 11 ქულა აქვს, დიდოსტატ ა. სუეტინს და ოსტატ ა. პეტერსონს 10,5 ქულა თვითეულს, ოსტატებს ბ. გურგენიძეს 10, ხოლო რ. ეტრუკს 9,5 ქულა, ნ. გაფრინდაშვილს 5,5 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. უკანასკნელისწინა მე-16 ტურში სუეტინი ხვდება ბოიარინოვს, სავონი — გურგენიძეს, პეტერსონი — მიკენასს, ვოორემაა — ეტრუკს, გაფრინდაშვილი — ზილბერს. ბოლო მე-17 ტურში ერთმანეთს ხვდებიან ზილბერი — პეტერსონი, ბოიარინოვი — ვოორემაა, ეტრუკი — ხოდოსი, ვალიევი — სუეტინი, გურგენიძე — გაფრინდაშვილი.

მ. შიშოვი,
სპორტის ოსტატი.

◆ მოსკოვი, 25 აგვისტო. წინასაოლიმპიადო საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად დღეს ვლადივოსტოკს სხვებთან ერთად გაფრინდნენ ქართველი ოლიმპიელი მოჭიდავეები: ო. ებაძე, რ. რურუა, დ. გვანცელაძე, რ. აბაშიძე, ნ. ხოხაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. სალარაძე, ა. ცხოვრებოვი, შ. ლომიძე, თ. ხითარიშვილი, ა. ქიბროწაშვილი, ფ. ჩიქვილაძე, ა. კიკნაძე, მწვრთნელები ვ. ბალავაძე და პ. იორდანიშვილი.

◆ მ ო ს კ ო ვ ი, 25 აგვისტო. დღეს აქ მოეწყო სსრ კავშირისა და უნგრეთის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების დასკვნითი მატჩი. იგი კვლავ მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:1. 31 აგვისტოს ჩვენი წყალბურთელები გაემგზავრებიან რუმინეთში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერთაშორისო ტურნირში. იგი დაიწყება 2 ოქტომბერს.

# მძლეოსანთა მაღალი შედეგებით

ვარშავა. ცნობილი პოლონელი მძლეოსნის ი. კუსოჩინსკის მემორიალზე სეზონში საუკეთესო შედეგის მფლობელ ამერიკელ ლარაბსა და ევროპის ჩემპიონ ინგლისელ ბრაიტუელთან ბრძოლაში გაიმარჯვა ბადენსკიმ (პოლონეთი) და ამასთან ერთად დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი — 45,7 (400-მეტრიან დისტანციაზე).

100 მეტრზე რბენაში პირველი იყო კუბელი ე. ფიგეროლა — 10,2. ამანათრბენში 4×100 მ პოლონეთის გუნდმა აჩვენა 39,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვებული სტარტები კრასნოდარში

ამას წინათ კრასნოდარში შედგა რსფსრ-ს მე-2 ჩემპიონატი სახანძრო გამოყენებით სპორტში. მასში მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის 19-მა ნაკრებმა გუნდმა და კონკურსგარეშე — საქართველოს ნაკრებმა.

სახანძრო დაცვის ისტორიაში პირველად გათამაშდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები 100-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, საიერიშო კიბეზე, ორჭიდში და სახანძრო ესტაფეტაში. ამან შეჯიბრებას მეტი ინტერესი და სპორტული სიმწვავე შესძინა.

როგორ გაართვა თავი ჩვენმა ნაკრებმა ამ პასუხსაგებ ტურნირს? — წარმატებით! შეჯიბრებაზე 100-მეტრიან ზოლში გ. ქათამაძემ აჩვენა დრო 21,3 წამი, რაც ასპარეზობის მეხუთე შედეგი იყო. ამავე სახეობაში მაღალი შედეგები აჩვენეს ა. ჭაბუკიანმა — 21,5, ა. ვლასოვმა — 21,6, მ. დარცმელიამ 22,2, დ. ხოტივარმა 22,6 (მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა), დ. გაბუნიამ 23,6, პირად ჩათვლაში გამოსულმა ტ. გიორგობიანმა — 22,4 (შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა).

100-მეტრიან ზოლში გუნდმა ხუთი მონაწილის ჩათვლით აჩვენა დრო — 109,2, რაც საერთო გუნდურ მეორე ადგილს შეეფერება და სულ 1,4 წამით ჩამორჩება გამარჯვებულის — სახალინის ოლქის ძლიერი კოლექტივის მაჩვენებელს.

ჩვენმა სპორტსმენებმა კვლავ მაღალი შედეგები აჩვენეს საიერიშო კიბეზე შეჯიბრებაში: ა. ჭაბუკიანმა 17,5 წამი (ასპარეზობის მეორე შედეგი, რაც შეესაბამებოდა ვერცხლის მედლით დაჯილდოებას), ე. ვლასოვმა—18,6, გ. ქათამაძემ — 19,1, ხოტივარმა — 19,2 და ა. შ. ხუთი მონაწილის ჩათვლით ჩვენმა გუნდმა დაიკავა მეოთხე ადგილი.

ა. ჭაბუკიანი კარგად გამოვიდა ორჭიდშიც. მისი შედეგი — 39 წამი, — 0,2-ით უკეთესია ლენინგრადელ ს. მახოვისაზე, რომელმაც დაიკავა მეორე ადგილი და დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

სახანძრო ამანათრბენში ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების უკანასკნელი დღე — „საბრძოლო გაშლა". აქაც საპატიო მეოთხე ადგილი!

სამდღიანი დაძაბული სპორტული ბრძოლის შედეგად საქართველოს გუნდმა ყველა სახეობაში მოაგროვა 13 ქულა, რაც საერთო პირველ ადგილს შეესაბამება.

ჩვენი გუნდის ამ შესანიშნავ შედეგს კრასნოდარში დიდად შეუწყო ხელი კარგად ჩატარებულმა სასწავლო-საწვრთნელმა შეკრებამ, მწვრთნელის ა. აგამირზოვის და გუნდის წარმომადგენლის ა. ნაჭყებიას ნაყოფიერმა მუშაობამ.

ახლა ჩვენი სპორტსმენების წინაშე დგას ამოცანა — შეინარჩუნონ მიღწეული სპორტული ფორმა და მთელი ძალებით მოემზადონ მომავალი, 1965 წლის საკავშირო შეჯიბრებისათვის.

**ი. არტემიევი,**
პოდპოლკოვნიკი.

დამწყებთა დასახმარებლად

# როგორ ვისწავლოთ ცურვა

ყველასათვის აუცილებელია ცურვის ცოდნა, ამიტომაც ბევრს აწუხებს კითხვა: როგორ შევისწავლოთ იგი?

ადამიანებმა ცურვა ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე იცოდნენ, მაგრამ სწავლის პროცესი მეტად პრიმიტიული იყო. მშობლები ბავშვებს ცურვას ძაღლის მაგალითზე ასწავლიდნენ. აქედან დამკვიდრდა ცურვის „ძაღლური" სტილი. თვალსაჩინოებისთვის ზოგჯერ ბაყაყის ცურვას იყენებდნენ. ამან კი მოგვცა „ბაყაყური" (ბრასის) სტილი.

მაგრამ დღევანდელი მეთოდიკა სულ სხვაგვარია. დაინტერესებულთ ჩვენი გაზეთის საშუალებით ვთავაზობთ ცურვის სწავლების სათანადო ხერხს, რომელიც საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში (სულ ბევრი — ერთ თვეში) შევისწავლოთ ცურვა.

## უბედური შემთხვევის თავიდან აცილების საშუალებანი

ცურვის სწავლების დროს უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა: ცურვის სწავლებისთვის გამოყოფილი ადგილის შემოსაზღვრა (გარეთ გასვლა სასტიკად აკრძალულია); სწავლებას ხელმძღვანელობს სპეციალური ინსტრუქტორი, რომელიც აქტიურად გამოიყენებს საზოგადოებრივ კადრს.

ცურვის სწავლების დაწყება ხდება თხელ წყალზე, ამასთან მოძრაობა იწყება სიღრმიდან (წელამდე) ნაპირისკენ. ყოველი ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს. ჯგუფის წევრები ნაწილდებიან წყვილებად. ისინი ერთმანეთის დახმარებითა და ხელშეწყობით ასრულებენ მწვრთნელის მითითებებს. სწავლების დაწყებამდე აუცილებელია საფუძვლიანად გაისინჯოს ფსკერი, რომ არ იყოს მინის ნამსხვრევები, ლურსმნები, ღრმულები.

## ცურვის სწავლება

ძნელი არაა ცურვის სწავლება, მაგრამ იგი უფრო ადვილია ადრეულ ასაკში. ცურვის სწავლებას აადვილებს ისიც, რომ ადამიანის კუთრი წონა წყლის კუთრ წონაზე ნაკლებია. ეს კი მას ტივტივის საშუალებას აძლევს (ტივტივი უფრო იოლია ზღვის წყალზე). მაშასადამე, რაკი ადამიანი წყალზე მსუბუქია, იგი არც უნდა ჩაიძიროს. მაგრამ ხდება პირიქით. მიზეზი ცურვის უცოდინარობა და წყლის შიშია. წყალზე ყოფნის დროს არასოდეს მაღლა არ უნდა ავწიოთ თავი და ხელები, რადგან მათი სიმძიმე გადადის სხეულზე, მცირდება წყალთან შეხების არე და იწყება ჩაძირვა. თუ ორგანიზმს თანაბრად გავანაწილებთ წყლის ზედაპირზე, ღრმად შევისუნთქავთ ჰაერს, უკვე ძნელია ჩაძირვა — წყლის წინააღმდეგობის დაძლევა. ადამიანი წყალზე ჩერდება საკვები და სასუნთქი ორგანოების დახმარებით. ამრიგად, მთავარია შევეჩვიოთ წყალს, დავძლიოთ შიშის გრძნობა და დავიწყოთ ცურვის სწავლა.

## როგორ დავძლიოთ შიში და „ავითვისოთ" წყალი

**1. თხელ წყალზე სვლა:** ა) წყლის დონე მკერდამდეა, ამხანაგზე ხელჩაკიდებული დამწყები მოძრაობს ყველა მიმართულებით. ბ) წყლის დონე იზრდება ნიკაპამდე, ვარჯიში იგივეა. გ) ვარჯიშები სრულდება ამხანაგის დაუხმარებლად. დ) ვიწყებთ ხელების ნებისმიერ მოძრაობას და გადაადგილებას სხვადასხვა მიმართულებით (მკერდამდე წყალში). ე) წყალში თავდახრილნი ფეხით ვცდილობთ გადაადგილებას.

**2. ჩაყურყუმალავება მარტო და ამხანაგის დახმარებით:** ა) მოულოდნელი ჩაყურყუმალავება ნიკაპამდე. ბ) ჩაყურყუმალავება თავით, ამოსვლა სახის ჩამოუწმენდავად (დაველოდოთ წყლის ჩამოწურვას). გ) გავიმეოროთ იგივე ყოვნებით (3, 5, 10, 15 თვლამდე), შემდეგ კი გაძლებაზე — ვინ მეტხანს დაჰყოფს წყალში. დ) ჩაყურყუმალავება ზედიზედ რამდენჯერმე (3,5,10 და ა. შ.). ე) წყალში ჩავჯდეთ, თვალი გავახილოთ და ვცადოთ რაიმე საგნის ან ამხანაგის დანახვა (სურ. № 1 და 2).

**3. სტატიკური ცურვა.** სტატიკური ცურვა იწყება ტივტივით. ამისთვის საჭიროა: ა) ჩავჯდეთ წყალქვეშ, ხელები მოვხვიოთ მუხლებს და დავეყრდნოთ სახით, სხეული თანდათან ამოტივტივდება. სასურველია, ამ მდგომარეობაში გავძლოთ 10 წამამდე, შემდეგ კი 30-40 წამამდეც (სურ. № 3).



სურ. № 1.



სურ. № 2.



სურ. № 3.

ბ) ხელ-ფეხი გავშალოთ ფსკერისკენ, კვლავ მივიღოთ პირვანდელი (შეკუმშული) მდგომარეობა, მუხლებს ხელები გავუშვათ და გავსწორდეთ, დავდგეთ ფეხზე. გ) გავიმეოროთ იგივე ვარჯიში, მაგრამ ამოტივტივების შემდეგ, ამჯერად ხელ-ფეხი გავშალოთ განზე და ვეცადოთ შევინარჩუნოთ წყალზე ჰორიზონტალური მდგომარეობა. დ) ამოტივტივების შემდეგ ხელები გავწიოთ წინ, ნებებიც წინაა, თითები — ერთად. ნელა დავწვეთ წყალზე. ე) გავიმეოროთ იგივე, ამჯერად ნაბიჯით წინ („გასრიალება") — სურ. № 4.

ვ) გავიმეოროთ იგივე, აუზის კედელზე ერთი ფეხის მირტყმით გავცურდეთ.

**4. წყალში ამოსუნთქვა.** მწვრთნელებს უყვართ თქმა: „ვისაც წყალში სუნთქვა შეუძლია, იგი ცურვასაც შეძლებს". და მართლაც, ცურვის სწავლებაში დიდ როლს ასრულებს წყალში ამოსუნთქვის უნარი. ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდების შესწავლა ხწორედ წყალში ამოსუნთქვის დაუფლებას ემსახურება, აი ისინი: ა) ჩავყვინთოთ წყალში და შევუბეროთ ისე, როგორც ამას ჩაის გაგრილების ან სანთლის ჩაქრობის დროს ვაკეთებთ (გავიმეოროთ რამდენჯერმე). ბ) ჩავყვინთოთ უფრო ღრმად (სურ. № 5).

გ) ჩავყვინთოთ— ამოვისუნთქოთ, ამოვიდეთ წყლის ზედაპირზე — შევისუნთქოთ, ჩავყვინთოთ—ამოვისუნთქოთ (გავიმეოროთ რამდენჯერმე ზედიზედ). დ) დავიხაროთ წყალზე ისე, რომ ყური ეხებოდეს მას — შევისუნთქოთ, ჩავაბრუნოთ სახე წყალში — ამოვისუნთქოთ. ე) კედელზე ფეხის წაბიძგებით გავსრიალდეთ წყალზე (გაშლილი ხელები წინაა) და წყალში ამოვისუნთქოთ.

ზემოაღნიშნული ვარჯიშების რამდენჯერმე გამეორების შემდეგ დავრწმუნდებით, რომ უკვე აგვითვისებია ცურვის ელემენტარული წესები — წყლის ზედაპირზე გაჩერება, რის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ დინამიურ ცურვაზე, ე. ი. დავიწყოთ სპორტული საშუალებით ცურვის შესწავლა. ამ საკითხზე ვისაუბროთ შემდეგ წერილში.





სურ. № 5.

**ლ. იოაკიმიდი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



სურ. № 4.

## „მარათონული" სპარტაკიადა

ჯერ კიდევ 29 ივლისს დაიწყო და 29 აგვისტომდე გაგრძელდება „განთიადის" ქუთაისის მე-6 საქალაქო სპარტაკიადა. სპარტაკიადა ტარდება სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მონაწილეობენ იმ ფაბრიკა - ქარხნების ფიზკულტურული კოლექტივები, სადაც 1000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა, მეორე ჯგუფში —500-იდან 1000-მდე, ხოლო მესამე ჯგუფში — 500-ზე ნაკლები მუშა-მოსამსახურის „მფლობელი" საწარმოები.

სპარტაკიადა უკვე დამთავრდა მესამე ჯგუფის კოლექტივებს შორის. ისევე როგორც გასულ წელს, წარმატებით გამოვიდნენ ტრიკოტაჟის ფაბრიკის გუნდები. მათ პირველი ადგილები დაიკავეს ჭადრაკში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში, ხოლო მეოთხე—ფრენბურთში და მესამე ჯგუფის კოლექტივებს შორის საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს. ბამბის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა მეორე ადგილი დაისაკუთრა.

მეორე ჯგუფში დღეისათვის ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს ლიტოპონის ქარხანას. მისმა გუნდებმა პირველი ადგილები დაიკავეს ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ცურვაში და კალათბურთში (ქალები), ხოლო მესამე ადგილები—კალათბურთში (ვაჟები) და შაშში.

ფარიკაობაში პირველი ადგილი მოიპოვა მაუდის ფაბრიკის გუნდმა, კალათბურთში—პურკომბინატის, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში—მე-8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა.

პირველ ჯგუფში მონაწილეებს შორის დღეისათვის უკეთესი მდგომარეობა აქვს საავტომობილო ქარხანას, რომელმაც პირველი ადგილები დაიკავა მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ველოსპორტში, ქართულ ჭიდაობაში, ფეხბურთში, კალათბურთსა და კრივში.

აბრეშუმის კომბინატი უძლიერესი იყო კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, აგრეთვე ცურვაში.

სპარტაკიადა გრძელდება.

**ვ. აფრიდონიძე**



სპორტის მოყვარულები არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც კარგად იცნობენ ვ. კაპლუნოვს. მსოფლიოს მრავალ ფიცარნაგზე გამოსული არმიელი ძალოსანი ყოველთვის ღირსეულად დაუცავს საბჭოთა სპორტის ღირსება. მას არა ერთხელ დაუმყარებია მსოფლიო' რეკორდები. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ იგი ხაბაროვსკის არმიელთა სპორტული კლუბის მწვრთნელია. ევროპის ჩემპიონატზე ვ. კაპლუნოვმა და მისმა აღზრდილებმა — ვ. კურენცოვმა და ვ. გოლოვანოვმა 3 ოქროს მედალი დაისაკუთრეს საბჭოთა ძალოსნების მიერ მოპოვებულ 6 ოქროს მედლიდან.

სურათზე აღბეჭდილია წვრთნის ერთ-ერთი მომენტი. ვ. კურენცოვი (მარცხნივ) და ვ. გოლოვანოვი უურადღებით ადევნებენ თვალს თავიანთი მწვრთნელის ვ. კაპლუნოვის მოძრაობას. წინ ხომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებია!

ფოტო ნ. ხუროვცევისა .(საკდესის ფოტოქრონიკა).

# მორიგი ტურის წინ

დღეს მორიგი ტურის მატჩებია სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფში.

აქ დასასრულს უახლოვდება პირველი ეტაპის გათამაშება, რომელმაც უნდა გამოავლინოს პირველი შვიდეულის მონაწილენი, ისინი, ვინც მეორე ეტაპზე პარალელური ქვეჯგუფის პირველ 7 გუნდთან ერთად იბრძოლებენ „ა“ კლასის პირველ ჯგუფში გადასვლის უფლებისათვის.

სამ გუნდს უკვე გარანტირებული აქვს ადგილი ფინალის უძლიერეს ჯგუფში. ესენია გათამაშების ლიდერი — ოდესის არმიელთა გუნდი, მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „შახტიორი“ (ყარაგანდა). პირველის 35, მეორის — 30 და მესამის — 29 ქულა სრულ საფუძველს აძლევს მათ შესრულებულად ჩათვალონ პროგრამა-მინიმუმი და იფიქრონ პროგრამა-მაქსიმუმზე. სამივე — ფინალისტია.

მომდევნო ადგილებზე არიან ერევნის „არარატი“ და ლვოვის „კარპატი“. შეიძლება ითქვას, რომ 26 ქულა, რომელიც თვითეულ მათგანს აქვს, აგრეთვე საფუძვლიანი გარანტიაა შვიდეულში მოხვედრისათვის, ვინაიდან მათი გამოძევება ამ ჯგუფიდან საკმაოდ რთული საქმეა. თვითონ განსაჯეთ: 22 ქულა, რაც ორი დარჩენილი მატჩის მოგების შემთხვევაში აგრეთვე 26 ქულას იძლევა, აქვთ „მეტალურგს“ (ზაპოროჟიე), „ურალმაშს“ (სვერდლოვსკი) და „ტრაქტორს“ (ვოლგოგრადი). აქედან მხოლოდ „მეტალურგს“ აქვს გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი ბალანსი +1, დანარჩენებს კი შესაბამისად მინუს 5 და მინუს 8. გამოდის, რომ ერევნელებმა და ლვოველებმა დარჩენილ შეხვედრებში ვერ უნდა აიღონ ვერც ერთი ქულა, ხოლო მათი ადგილების პრეტენდენტებმა მოიგონ ყველა მატჩი და თანაც ისე, რომ საბოლოოდ მიიღონ ბურთების დადებითი სხვაობა — 5 და 6. ძნელად, რომ ასე მოხდეს, თუმცა, შეუძლებელი აქ არაფერია...

თბილისის „ლოკომოტივი“ დღეს საკუთარ მინდორზე ხვდება ქვეჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერს — ოდესის სკა-ს, ხოლო 31 აგვისტოს თამაშობს ვოლგოგრადში. რა შეიძლება ითქვას ჩვენი გუნდის პერსპექტივებზე, რომელსაც ახლა 25 ქულა აქვს და ბურთების დადებითი ბალანსი +7? ორ მატჩში 2 ქულა ხსნის შვიდეულში მოუხვედრელობის ყოველგვარ საშიშროებას. 27 ქულა — ეს პირველი შვიდეულია. შედარებით რთულდება საკითხი, თუ ლოკომოტიველები 2:4 [illegible] მხოლოდ 1 ქულას აიღებენ, მაშინ მოქმედებაში შედის იგივე ფორმულა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ „არარატისა“ და „კარპატის“ მაგალითზე.

მაგრამ არის კიდევ ერთი, ყველაზე ცუდი ვარიანტი: თუ თბილისელებმა ვერ აიღეს ვერც ერთი ქულა, მაშინ ახლანდელი 25 ქულა ალბათ არ გამოდგება საკმარისი და ზემოხსენებულ 3 გუნდს, აგრეთვე ვორონეჟის „ტრუდს“ (24 ქულა) შეეძლებათ შეუდგნენ თავიანთი პრეტენზიების პრაქტიკულად დასაბუთებას.

ამრიგად, დღევანდელი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და ოდესის არმიელთა შორის ბევრ რამეს წყვეტს. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ოდესელები იბრძოლებენ მთელი თავიანთი შესაძლებლობით, ვინაიდან ეს ქულები ორივე გუნდს გადაჰყვება გათამაშების მეორე, დასკვნით ეტაპზე (თუ, რასაკვირველია, ლოკომოტიველებიც პირველ შვიდეულში მოხვდებიან).



# დედაქალაქის ველოსიპედისტები — უძლიერესნი

თბილისის ველოტრეკზე დამთავრდა რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი. როგორც ვიუწყებოდით, ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობდნენ თბილისელი ველოსიპედისტები (I და II გუნდის წარმომადგენლები). შეჯიბრების დასკვნით ნაწილში თავი გამოიჩინეს აჭარის წარმომადგენლებმა, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს რა დედაქალაქის II გუნდის ველოსიპედისტები, მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. გუნდური პირველობა მოიგო თბილისის I კოლექტივმა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან რესპუბლიკის ყველა წამყვანი სპორტსმენი სწორედ დედაქალაქშია თავმოყრილი.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჯგუფური რბოლა 110 წრეზე 22 საშუალედო ფინიშით. პირველი ადგილი მოიპოვა თბილისელმა ა. სტაშევსკიმ. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ აჭარელ ო. ზარდალიშვილსა და თბილისელ ე. პელკოვს. ქალთა 3-კილომეტრიან რბოლაში (გამოდევნებით) უძლიერესი იყო ლ. სტაშევსკაია, რომელმაც ადრე მოიგო სპრინტი და ორი გიტი, (200 და 500 მეტრზე). 1 კილომეტრიან დისტანციაზე ე. შაინოვმა (აჭარა) აჩვენა 1.13,2 და პირველი ადგილი დაიკავა.

* * *

**სურათზე:** თბილისის ველოტრეკი ჩემპიონატის დღეებში. ველოსიპედისტები დისტანციაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ქუთაისელთა დიდი გამარჯვება

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 25 აგვისტო.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 0:1 (0:0).

„ზენიტი“: გალიმოვი, ნეპომილუევი, სოვეიკო, დერგაჩოვი, დანილოვი, გორბუნოვი, ზავიდონოვი, კროტკოვი, ბურჩალკინი, რიაზანოვი (ხრაპოვიცკი), ვასილიევი.

„ტორპედო“: ურუშაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, სიამაშვილი, ნიშნიანიძე, კუტივაძე, სარჯველაძე, დუნდუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

მსაჯი ნ. კირსანოვი (კიევი).

⊙

იშვიათად, რომ ქულებს ისეთი მნიშვნელობა ჰქონდეს მოწინააღმდეგეთათვის, როგორც ეს განვლილ მატჩში იყო. „ზენიტმა“ ეს-ესაა დააღწია თავი ბოლო ოთხეულს და ახალი გამარჯვება მტკიცე ბაზას უქმნიდა მას ცხრილის შუაგულში. რაც შეეხება ქუთაისელებს, 2 ქულა მათ საშუალებას აძლევდა, როგორც იტყვიან, „ერთი სულის მოთქმით“ უკან მოეტოვებინათ ერთბაშად რამდენიმე გუნდი.

ნაწვიმარ მინდორზე, ქარიან ამინდში ლენინგრადელებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ უკეთესი თამაში ეჩვენებინათ და მათ საქმის მოთავება პირველივე წუთებზე სცადეს. „ზენიტის“ შეტევას ნამდვილი შტურმის ხასიათი ჰქონდა. თავდასხმა სრული შემადგენლობით, ზავიდონოვის აქტიური მონაწილეობით გადავიდა იერიშზე. ეტყობა, ტორპედოელები ელოდნენ ასეთ დასაწყისს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დაცვისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა ამ შტურმის მოგერიება. რიაზანოვის, ბურჩალკინის გარღვევები, დერგაჩოვისა და დანილოვის შორი რეიდები, ხშირი დარტყმები კარში უაღრესად სახიფათო იყო, მაგრამ ქუთაისელთა მეკარე და მცველები თამაშობდნენ იშვიათი სიზუსტით და ურთიერთმოქმედებით. მართალია, დროდადრო გუნდი თითქმის მთელი შემადგენლობით იცავდა თავს, თავდამსხმელები იხევდნენ უკან, მაგრამ როგორც კი ჩნდებოდა კონტრშეტევის მცირე შანსი, ფორვარდები სწრაფად გადიოდნენ თავიანთ ადგილებზე. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას დანილოვმა იხსნა „ზენიტი“ იმით, რომ ზედ კარის ხაზზე მიუსწრო ბურთს.

ქუთაისელები პირველი ტაიმი დაცვას მოუნდნენ, შესვენების შემდეგ კი მათს თამაშს გაცილებით მეტი აგრესია და სიმწვავე მიეცა. ბურთის გათამაშება შუა მინდორზე ხდებოდა, რაც მთავრდებოდა ღიად დარჩენილი ფორვარდის გასვლით სახიფათო პოზიციაში. გუნდმა სწორედ ასეთი შეტევა განახორციელა მარჯვენა ფლანგზე, ხოლო ცენტრში თავისუფალ ადგილზე გავიდა დუნდუა. მან თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი „ზენიტის“ კარში — 1:0.

აღმოჩნდნენ რა აშკარა დამარცხების საშიშროების წინაშე, ლენინგრადელებმა კვლავ ისროლეს მთელი ძალები წინა ხაზზე. ამ მძიმე ბრძოლაში საუკეთესოდ ითამაშეს ურუშაძემ, წივწივაძემ, ლოსაბერიძემ. მაგრამ, ჩემის აზრით, მოთამაშეთა ასეთი გამოყოფა არცაა საჭირო. გუნდის დაცვა მთლიანად იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ქუთაისელებმა ითამაშეს მთელი მონდომებით, ნამდვილი სპორტული აზარტით და მიაღწიეს გამარჯვებას, რომელსაც ჭეშმარიტად „დიდი გამარჯვება“ უნდა ეწოდოს, ვინაიდან მან გუნდს ნათელი პერსპექტივები გაუხსნა.

ა. ფედოროვი
(ტელეფონით).

## ახალი ამბები

● ტალინი. აქ დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი საიალქნო სპორტში. ჩემპიონები გახდნენ: ბ. ჩუჩელოვი („ფინის“ კლასი), ვ. გორლოვი („5,5-მეტრიანი“), ე. კანსკი („დრაკონი“), ტ. პინეგინი („ვარსკვლოვანი“), ა. შელკოვნიკოვი („მფრინავი ჰოლანდიელი“). გამარჯვებულები წავლენ ტოკიოში.

● ადის-აბება. ეთიოპიის უძლიერეს მარათონელთა შესარჩევი შეჯიბრება რომის ოლიმპიადის ჩემპიონის 32 წლის აბებე ბიკილას გამარჯვებით დამთავრდა. მან მანძილი დაფარა 2:16.18,8-ში. და 0,4 წამით მოუგო თავის მუდმივ მეტოქეს მამო ვოლდეს. მესამე ადგილზე გამოვიდა დემისიე ვოლდე — 2:19,30,0.

## „ა“ კლასი

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 26 აგვისტოსათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 20 | 11 | 7 | 2 | 37—11=+26 | 29 |
| ცსკა | 21 | 10 | 7 | 4 | 32—14=+18 | 27 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 10 | 7 | 4 | 24—17=+ 7 | 27 |
| „დინამო“ (კიევი) | 20 | 8 | 9 | 3 | 30—18=+12 | 25 |
| სკა (როსტოვი) | 20 | 10 | 4 | 6 | 29—17=+12 | 24 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 20 | 9 | 6 | 5 | 25—15=+10 | 24 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 20 | 8 | 8 | 4 | 23—15=+ 8 | 24 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 19 | 6 | 8 | 5 | 19—14=+ 5 | 20 |
| „დინამო“ (მინსკი) | 20 | 4 | 12 | 4 | 8—9 =— 1 | 20 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 22 | 5 | 8 | 9 | 11—27=—16 | 18 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 21 | 5 | 7 | 9 | 15—21=— 6 | 17 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 22 | 6 | 5 | 11 | 10—28=—18 | 17 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 21 | 5 | 6 | 10 | 17—26=— 9 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 20 | 4 | 8 | 8 | 10—22=—12 | 16 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 20 | 4 | 8 | 8 | 14—29=—15 | 16 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 19 | 4 | 6 | 9 | 15—21=— 6 | 14 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 20 | 4 | 4 | 12 | 10—25=—15 | 12 |

**მოსკოვი, 25 აგვისტო.** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „ნეფტიანიკი“ (ბაქო). მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## თამაშობენ დუბლიორები

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და ოდესის სკა-ს სათადარიგო შემადგენლობანი.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

# ამოცანა მრავალი უცნობით

TOKYO 1964

ჩვენი გაზეთის მიერ გამოცხადებულ ოლიმპიურ კონკურსში მეოთხე კითხვა ასეთია: დაასახელეთ ფეხბურთში ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალისა და ფინალის მონაწილენი, აგრეთვე გამარჯვებული.

როგორც ხედავთ, ეს არის თავისებური კომპლექსური შეკითხვა, რომლის ამომხსნელს ფაქტიურად საქმე აქვს მრავალუცნობიან ამოცანასთან. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ ისეთ ეტაპობრივ შეჯიბრებაში პროგნოზის გაკეთება, როგორიცაა ოლიმპიელ ფეხბურთელთა ტურნირი, მარჩიელობა მეტისმეტად სათუო ამბავია. ეს თავისთავად. პროგნოზი გაცილებით უფრო ძნელია იმ აზრით, რომ ოლიმპიადებში პროფესიონალები არ მონაწილეობენ, ამიტომ ფეხბურთის ის ქვეყნები, რომლებსაც მოწინავე პოზიციები უპყრიათ საერთაშორისო სარბიელზე, ახლა სულ სხვა ძალით უნდა წარსდგნენ თამაშებზე. აქ სიტყვა ეკუთვნით არა პელეს, გარინჩას, დი სტეფანოს, ეუსებიოს, ჩარლტონს და სხვა მათს მსგავს „ვარსკვლავებს“, არამედ ე. წ. მოყვარულებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ თამაშობდნენ. როგორი იქნება, ვთქვათ, ტოკიოში ბრაზილიის ნაკრები? რა ძალისა და შეთამაშებისაა იგი? ეს გაცილებით უფრო ძნელი ამოსახსნელია, ვიდრე ამავე ნაკრების პერსპექტივებზე ლაპარაკი, როცა იგი იბრძვის ჟიულ რიმეს თასისათვის.

მაგრამ, ასეა თუ ისე, კონკურსში მონაწილეს მოუხდება თავი იმტვრიოს იმის განსაზღვრაზე, თუ ვინ გავა ნახევარფინალში (4 გუნდი), ვინ ფინალში (2 გუნდი) და ვინ ჩაიგდებს ხელთ ოქროს მედალს (1, მხოლოდ 1).

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ტოკიოს ფინალური ტურნირის კენჭისყრა, რომელმაც მომავალი 16 მოწინააღმდეგე 4 ჯგუფად დაჰყო. სწორედ ეს ჯგუფები უნდა იქნეს პროგნოზის ამოსავალ წერტილად.

**I ჯგუფი: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ირანი, მექსიკა, რუმინეთი.**

ვის უნდა მივაკუთვნოთ აქ პრიორიტეტი? გერმანელთა წარმატებები ბოლო წლებში ფართოდაა ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, მათი გამარჯვება სსრ კავშირის გუნდზე ვარშავაში საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ... მაგრამ პროგნოზები ამჯერად ჩვენი საქმე არაა. ეს ახლა მხოლოდ მათი საზრუნავია, ვინც კონკურსში მონაწილეობს. არ დაივიწყოთ, რომ მექსიკელები მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორობას აპირებენ, ამიტომ მათი მზადება საგანგებო ხასიათს ატარებს. გარდა ამისა, რუმინელები...

**II ჯგუფი: იუგოსლავია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, მაროკო.**

რომის ოლიმპიურ თამაშებზე პირველი ადგილი დაიკავეს იუგოსლაველებმა და, ბუნებრივია, ამ დიდ ნადავლს ისინი იოლად არ დათმობენ. ეს გუნდი ყოველთვის ძლიერად თამაშობდა ოლიმპიადებზე და ახლა კიდევ უფრო მეტი ძალით მოუწევს თავისი მაღალი ტიტულისთვის ბრძოლა. უნგრეთი? „დიდი გუნდის“ მემკვიდრეები მთელი სერიოზულობით ემზადებიან ტოკიოსათვის.

**III ჯგუფი: ჩეხოსლოვაკია, სამხრეთ კორეა, ბრაზილია, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა.**

ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილია და ჩეხოსლოვაკია. საფეხბურთო კენჭისყრამ ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი კვლავ შეახვედრა ერთმანეთს, მაგრამ ჯერ ერთი, ეს ფინალური მატჩი არაა და, მეორეც, არც მოწინააღმდეგეებია ძველი, იაპონიაში ჩავლენ არა ის მოთამაშეები, რომლებიც ჩილის დედაქალაქში იბრძოდნენ, არამედ ფაქტიურად, მათი დუბლიორები და შემცვლელები. სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლია მათთვის არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდს. რაც შეეხება სამხრეთ კორეას, ეს ერთობ ბუნდოვანი ფიგურაა ოლიმპიადის მონაწილეთა შორის.

**IV ჯგუფი: იტალია, იაპონია, არგენტინა, განა.**

თავი დავანებოთ განას, მას ჩვენ (და სხვებიც) ნაკლებად ვიცნობთ. ვილაპარაკოთ პირველ სამ გუნდზე. იტალიელებს თავიანთი ოლიმპიური გუნდი მიაჩნიათ პირველი ეროვნული ნაკრების მთავარ საყრდენად და სწორედ ამ მიზნით შეჰყავთ შიგ საუკეთესო, პერსპექტიული მოთამაშეები. ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გუნდი ძლიერ ძალას წარმოადგენს. იაპონელები მასპინძლები არიან, მათ ტოკიოში კედლებიც დაეხმარებიან, მაგრამ ამ კედლებს მიღმა არ უნდა დავივიწყოთ, რომ იაპონიის ნაკრები მომავალი ტურნირისათვის ემზადება როგორც არასდროს. მესამე პრეტენდენტი — არგენტინა ყოველთვის მიეკუთვნებოდა საფეხბურთო ქვეყნებს და, ვფიქრობთ, ეს ახლაც ასეა. ამ ქვეყნის ფედერაცია დუმს, ორაზროვან დაპირებებს იძლევა და მიმომხილველებს ურჩევს გაიხსენონ ტურნირი ლიმაში (ეს ის ტურნირია, სადაც ამას წინათ საშინელი ტრაგედია გათამაშდა ტრიბუნებზე), როცა არგენტინელებმა დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე და 10 ქულით „ვადაზე ადრე“ გაინაღდეს პირველი ადგილი.

აი ყველაფერი, რაც გვინდოდა გვეთქვა. ახლა კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ თამამად ამოხსნან კითხვები: დაასახელეთ ფეხბურთში ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალისა და ფინალის მონაწილენი, დაასახელეთ გამარჯვებული.

ბ. ქორქია




საბჭოთა ჩოგბურთელების მონაწილეობა უიმბლდონის ტურნირში უკვე ტრადიციად იქცა. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ინგლისის კორტებზე შეხვედრებს მათთვის დიდი სარგებლობა მოაქვს, ამდიდრებს მათი თამაშის გამოცდილებას. უიმბლდონის ბოლო ტურნირზე საბჭოთა ჩოგბურთელები უფრო ძლიერად გამოიყურებოდნენ, ვიდრე ერთი-ორი წლის წინათ. საზღვარგარეთელი სპეციალისტები და მიმომხილველები, რომლებიც კომენტარს უკეთებენ ტურნირს, აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირში გამოჩნდნენ საერთაშორისო კლასის პირველი ჩოგბურთელები.

სსრ კავშირის დელეგაციის ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი შეხვდა დელეგაციის ხელმძღვანელებს — ნაკრების უფროს მწვრთნელს ს. ანდრეევს და ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის მთავარ მწვრთნელს ს. ბელიც-გეიმანს, და თხოვა მათ მოეთხროთ უიმბლდონის შთაბეჭდილებებზე.

# ჩოგბურთის „ვარსკვლავთა“ შორის

—ინგლისში,—თქვა ს. ანდრეევმა,—საბჭოთა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სამ ტურნირში და თვითეულ მათგანში მოიპოვეს კარგი შედეგები. პირველად ისინი გამოდიოდნენ კენტის საგრაფოს „ბეკნემკლაბის“ პირველობაზე. აქ თავი გამოიჩინა თ. ლეიუსმა. პირველად მან მოუგო ძლიერ ახალზელანდიელს ი. კრუკენდენს, შემდეგ ავსტრალიის ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს კ. ფლეტჩერს, და ბოლოს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს, თავისი ქვეყნისა და აშშ-ის ჩემპიონს — მექსიკელ რ. ოსუნას. საზღვარგარეთულმა გაზეთებმა თომასს „გიგანტთა დამამხობელი“ შეარქვა. ტურნირის ფინალში გასვლით ლეიუსი შევიდა ჩოგბურთის „მაღალ საზოგადოებაში“. ლონდონის პირველობაზე გამარჯვებაში მას ეცილებოდა ავსტრალიელი რ. ემერსონი—საზღვარგარეთელი სპეციალისტების უმრავლესობის კლასიფიკაციით 1963 წლის № პირველი მოყვარული მოთამაშე. ლეიუსმა წააგო ემერსონთან, მაგრამ ანგარიში 10:12, 4:6 ძალზე საპატიოა. დაბოლოს, უიმბლდონის ტურნირი—მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა. მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი (რაც არასდროს არ ჰქონიათ ჩვენს ჩოგბურთელებს) მოიპოვა ა. მეტრეველმა. მაგრამ სამი გამარჯვების შემდეგ მან უარი თქვა შეხვედროდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელს ა. სეგალს, ამ ქვეყნის მთავრობის რასისტული პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად. იგივე მოტივით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელებთან შეხვედრაზე უარი თქვეს ა. დმიტრიევამ და ს. ლიხაჩოვმა.

—უიმბლდონის ტურნირში კვლავ გაგვახარა კოროტკოვმა. მან ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. რასაკვირველია, წარმატება შესამჩნევია,—გააგრძელა თხრობა ს. ბელიც-გეიმანმა,—ოსტატობის დონით ჩვენი ჩოგბურთელები მიუახლოვდნენ საზღვარგარეთელ ოსტატებს, მიუახლოვდნენ და არა დაეწიენ...

ცნობილია, რომ სპორტსმენის მთავარი იარაღი ტექნიკაა. მე ვნახე ემერსონი ერთი წლის წინათ. მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის ტექნიკა მაშინაც შეუდარებელი იყო და აი, გავიდა ერთი წელი და შევამჩნიე, რომ ემერსონმა ტექნიკური ოსტატობის მხრივ ნაბიჯი გადადგა წინ.

დამაინტერესა მისმა ვარჯიშებმა. იგი მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობს შეჯიბრებებში. იგი თითქმის ყოველდღე თამაშობს, მაგრამ მაინც დღეში ორჯერ გადის წვრთნას. დილით ატარებს ეგრეთწოდებულ „განწყობის“ ვარჯიშს, ემზადება თამაშისათვის. მატჩის შემდეგ მას აქვს ვარჯიში „კორექტურაზე“, რომლის დროს ემერსონი ისწორებს ტექნიკურ წუნს, რომელიც მან მორიგ მეტოქესთან შეხვედრის დროს შეამჩნია.

ჩვენი ჩოგბურთელები, სამწუხაროდ, არ გამოირჩევიან ტექნიკაზე მუშაობაში შრომისმოყვარეობით. უფრო მეტიც, არსებობს მცდარი აზრი, რომ 15-16 წლის ასაკში მთავრდება ახალგაზრდა ჩოგბურთელის ტექნიკის დაყენება. შემდგომ თითქოს იგი ატარებს სათამაშო ვარჯიშებს, იძენს შეჯიბრებების გამოცდილებას. ჩოგბურთელში ტექნიკური სისუსტეების გამოსწორების ცდა მწვრთნელში იწვევს უარყოფით რეაქციას: „ნუ გატეხავთ ტექნიკას!“ გატეხა კი უნდა! ამან შეიძლება ჩოგბურთელს მოუტანოს დროებითი წარუმატებლობა, მაგრამ...

ტექნიკაზე ნაყოფიერი და სისტემატური მუშაობა ჩვენი ჩოგბურთელების ოსტატობის დონის ამაღლების მთავარი რეზერვია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტექნიკა გამუდმებით წინ მიდის. დავკმაყოფილდეთ იმ ილეთებით, რომლებიც ახალგაზრდობაშია შეძენილი. მაგრამ ეს ნიშნავს, ტკეპნას ადგილზე. თავის დროზე მოჭრილი დარტყმა მარცხნიდან ითვლებოდა არატექნიკურ ილეთად, მაგრამ გამოჩნდნენ თუ არა „ბადესთან“ მოთამაშენი, ეს ილეთი ამ ტიპის ჩოგბურთელთა დამარცხების მთავარი იარაღი გახდა. ვინც ამ დარტყმით ახლა არ სარგებლობს, ის ჩამორჩა.

სპორტსმენებს ყოველთვის როდი შეუძლიათ ერთმანეთს შეუხამონ სწრაფი ტემპი და მაღალი სიზუსტე. ამ ნაკლის აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ სამიზნეების გამოყენებით. მრავალრიცხოვანი რეკომენდაციის მიუხედავად, მწვრთნელები რატომღაც სამიზნეების წინააღმდეგნი არიან. ავსტრალიაში, მაგალითად, არის სპეციალური კორტები სამიზნეებით, რომლებზეც ტარდება ვარჯიშები და თამაშები სიზუსტეზე.

ავსტრალიის ჩოგბურთელთა გუნდის მწვრთნელმა და კაპიტანმა გ. ჰოპმანმა თქვა: „მოთამაშის ტექნიკის დონის შესახებ ვსჯი მისი ფეხების მუშაობით“. ჩვენთან ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, თითქოს იმიტომ, რომ სწრაფი თამაშის დროს არაა დრო განვიხილოთ, თუ როგორ დაადგა ტერფი მიწაზე სპორტსმენმა. ნამდვილად კი, რაც უფრო მაღალია ტემპი, მით უფრო სწრაფად უნდა მოძრაობდეს ფეხები.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ჩოგბურთელებმა საერთო ფიზიკური მომზადების დარგში ნაბიჯი გადადგეს წინ. დღის წესრიგშია სპეციალური ფიზიკური მომზადება. ჩოგბურთელი—ეს მეკარეა, რომელიც თავის კარს იცავს მთელი კორტის სიგანეზე. ამისთვის ჩოგბურთელებმა თავიანთ ვარჯიშებში უნდა გამოიყენონ ხტომის, აკრობატული და „მეკარის“ სხვა ვარჯიშები.

ტექნიკის რომელ ელემენტებში ჩამორჩებიან ჩვენი მოთამაშეები საზღვარგარეთული ჩოგბურთის ვარსკვლავებს? მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების თამაშის საფუძველს შეადგენს ძლიერი დარტყმები, ხოლო საშუალო და სუსტი—დამატებას წარმოადგენს. ამ დარგში საბჭოთა სპორტსმენები ცოტას მუშაობენ. ჩვენთან ასეა: საშუალო—ძირითადია, ხოლო ძლიერი დარტყმები—დამატება.

თანამედროვე ჩოგბურთი სპორტის სნაიპერული სახეობაა. ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელების საწვრთნელი დატვირთვა დიდია. მაგრამ, როგორც წესი, ისინი მეცადინეობენ „თბილ“ პირობებში, ნელ ტემპში. აი, როგორ ვარჯიშობს ამერიკელი ჩ. მაკ-კინლეი. იგი კორტზე გამოდის ბურთების ჩანთით და ორი პარტნიორით. ერთი — ორის წინააღმდეგ! წარმოიდგინეთ, როგორი ინტენსიურია მისი წვრთნა.

არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი უძლიერესი ჩოგბურთელები არ ატარებენ სერიოზულ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას. ამის გარეშე ისინი წინ ვერ წავიდოდნენ და ვერ მოიპოვებდნენ იმ წარმატებებს, რომლებზეც ახლა ლაპარაკობდა ჩემი კოლეგა. მაგრამ ამ მუშაობაში არის ნაკლოვანი მხარეები და არ შეგვიძლია ისინი არ გამოვამზეუროთ.

ვფიქრობთ, საბჭოთა სპორტსმენები კარგად ისარგებლებენ გამოცდილებით, რომელიც მათ მიიღეს ინგლისის კორტებზე, შეიარაღდებიან წვრთნის თანამედროვე მეთოდებით და მოკლე დროში შეძლებენ იბრძოლონ საზღვარგარეთის „ვარსკვლავებთან“ ისე, როგორც თანასწორი თანასწორთან.

**ს უ რ ა თ ზ ე:** საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე ა. მეტრეველი ბურთის მიწოდების მომენტში.



ბ რ ა ზ ი ლ ი ა. ფეხბურთის ეროვნულ ასოციაციას სურს შეცვალოს გათამაშების ფორმულა. როგორც ცნობილია, ბრაზილიის პირველობა ტარდება ორ ცალკეულ შტატში (რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულოში) და აქ გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს ხვდებიან ფინალში. დებულების ახალი პროექტი ითვალისწინებს ექსტრა-ლიგის შექმნას, რომელშიც შევლენ ორივე შტატის უძლიერესი გუნდები. ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს სწორედ ისინი გაითამაშებენ. თუ ასეთმა ფორმულამ დააკმაყოფილა ფეხბურთის ბიზნესმენთა ფინანსიური ინტერესები, იგი მომავალ წელს ძალაში შევა.

შ ო ტ ლ ა ნ დ ი ა. ამ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „გლაზგო რეინჯერსი“ ახალ საფეხბურთო სეზონში გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად რჩება. გუნდის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა თავდასხმის ხაზი. ახალგაზრდა ცენტრფორვარდ ფორესტსა და შუამარბ ბრანფზე კლუბის ხელმძღვანელები დიდ იმედებს ამყარებენ.

უ ნ გ რ ე თ ი. საფეხბურთო ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს „ფერენცვაროში“ (36 ქულა). მეორე ადგილზეა „ჰონვედი“, რომელიც ლიდერს 5 ქულით ჩამორჩება. 28 ქულით მესამეზეა — „ტატაბანია“.

გ დ რ. დაიწყო ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები. ორი ტურის შემდეგ წინ არიან „ფორვერტსი“ და „მოტორი“ (იენა), რომლებმაც 2-2 შეხვედრა მოიგეს.

რ ე ი კ ი ა ვ ი კ ი. გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი შერჩევითი მატჩი ისლანდიის ჩემპიონის „რეიკიავიკსა“ და „ლივერპულს“ (ინგლისი) შორის. ინგლისელმა ფეხბურთელებმა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგეს — 5:0. განმეორებითი მატჩი შედგება 14 სექტემბერს ლივერპულში.

პ რ ა ღ ა. ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ ნაკრებთან შეხვედრით იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა გუნდმა დაამთავრა ევროპული ტურნე. უკანასკნელ მატჩში სტუმრები დამარცხდნენ — 1:3.

## აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით...

▲ **პარიზი.** ოლიმპიურ თამაშებზე საფრანგეთი აგზავნის მოცურავეთა გუნდს ასეთი შემადგენლობით: ვაჟები — გოტვალესი, გროპეზი, კიურტიე, ლუისი, პომა, დიუშატო, კანავეზი; ქალები — კარონი და ბორი.

▲ **ბუდაპეშტი.** გაიმართა უნგრეთისა და ინგლისის მოკრივეთა ოლიმპიური გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 8:2.

▲ ბ უ ე ნ ო ს-ა ი რ ე ს ი. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აქ ჩატარდეს 1970 წლის მსოფლიო პირველობა. ამ მიზნით დედაქალაქში შენდება ახალი სტადიონი, რომელიც 115 ათას მაყურებელს დაიტევს.

▲ **სან-პაულო.** ვალდირ პერეირამ (დიდი) ერთწლიანი კონტრაქტი დადო თავის ყოფილ კლუბთან — „ბოტაფოგოსთან“. კონტრაქტის ერთ-ერთი მუხლი ლაპარაკობს: „დიდი თანახმაა მიიღოს მწვრთნელის პოსტი იმ შემთხვევაში, თუ გუნდში ითამაშებენ ძველი ვეტერანები“.

▲ რ ი ო-დ ე-ჟ ა ნ ე ი რ ო. როგორც იუგოსლავიის გაზეთი „სპორტი“ იუწყება, მსოფლიოში ერთ-ერთმა უძველესმა საფეხბურთო კლუბმა „ფლამენგომ“ (იგი დაარსდა 1895 წელს) თავისი არსებობის მანძილზე მოგების სახით კლუბის ხელმძღვანელებს 15 მილიარდი დინარი მოუტანა.

▲ ბ უ დ ა პ ე შ ტ ი. უნგრეთის საფეხბურთო ჩემპიონატის სნაიპერია „ჰონვედის“ ცენტრფორვარდი ტიხი (22), მეორე ადგილზეა ალბერტი — 19 ბურთი.

▲ **ნიუ-იორკი.** პროფესიული კრივის ცნობილ მენაჯერს დეივ ფრაგეტს განზრახული აქვს ევროპაში საგასტროლოდ ჩამოიყვანოს „მოკრივეთა დასი“. ამ დასის პირველი გამოსვლა ნავარაუდევია ბელგრადში.

▲ რ ო მ ი. ამას წინათ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა ოფიციალური ნაკრების კანდიდატთა სია, რომელიც სასტიკად გააკრიტიკა ე. ერერამ. ცნობილი მწვრთნელის აზრით ასეთი გუნდი (ლაპარაკია იტალიის ოლიმპიურ ნაკრებზე) წარმატებას ვერ მიაღწევს რომში.

▲ ბ ე ლ გ რ ა დ ი. იუგოსლავიის საფეხბურთო ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი „ცრვენა ზვეზდასა“ და „პარტიზანს“ შორის დამთავრდა ფრედ — 2:2 (1:2).



მზისა და თოვლის სამყაროში.

ფოტოეტიუდი ფ. კრიმსკისა.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.


## ყურადღება!

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სასპორტო სკოლა აცხადებს ჩაწერას ცურვის განყოფილებაზე სექტემბრის თვისათვის.

განყოფილებაში მიიღებიან 6-7-8-9 წლის გოგონები და ბიჭები (მოსამზადებელ ჯგუფებში).

მსურველების ჩაწერა წარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან ბავშვთა სასპორტო სკოლის დარბაზში (თბილისი, ფიზკულტურელის პარკი, ზაფხულის საცურაო აუზი).



„დინამოს“ სტადიონი
დ ღ ე ს!

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა
(„ა“ კლასის II ჯგუფის
II ქვეჯგუფი)
„ლოკომოტივი“
(თბილისი) —
სკა (ოდესა)
დასაწყისი 19 ს.


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან-09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06005